პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 210 (3440)
1967 წ. 26 ოქტომბერი. ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ფსიქოლოგიური ზღუდე დაძლეულია

მეხიკო, 24 ოქტომბერი. „მაღალმთიანობის ფსიქოლოგიური ზღუდე დაძლეულია. ჩვენი აზრით, სწორედ ესაა III წინაოლიმპიურ ასპარეზობაში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობის მთავარი შედეგი", — უთხრა სამშობლოში გამომგზავრების წინ საკდესის სპეციალურ კორესპონდენტებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. მაშინმა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს სიმაღლის პრობლემა არ არსებობდეს, — განაგრძო მაშინმა. — სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები მეხიკოში თავს სხვადასხვანაირად გრძნობენ. ჩვენ სწორედ იმიტომ ჩამოვედით აქ, რომ გაგვერკვია როგორ გამოვიდოდნენ სპორტსმენები ოლიმპიურ პირობებში. „მცირე ოლიმპიადის" გაკვეთილებიდან ჩვენ სათანადო დასკვნებს გავაკეთებთ XIX ოლიმპიადისთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სპორტსმენებს აღარ ეშინიათ ასეთ სიმაღლეზე ასპარეზობისა. ისინი დარწმუნდნენ, რომ მეხიკოშიც შეიძლება აჩვენო შესანიშნავი შედეგები.

საბჭოთა სპორტსმენები ცუდად არ გამოსულან. სასიამოვნოა ახალგაზრდობისა და ვეტერანთა კარგი „შეთამაშება". როგორც მაშინმა თქვა, გვაქვს სერიოზული ხარვეზებიც, რომელთა აღმოსაფხვრელადაც სერიოზული მუშაობა მოგველის. მეხიკოში შექმნილი პირობები იძლევა იმედს, რომ XIX ოლიმპიური თამაშები წარმატებით ჩატარდება, — თქვა დასასრულს მაშინმა.

მეხიკო, 25 ოქტომბერი. 23-ე ოქროს მედალი მოგვიტანა მოსკოველმა წყალში მხტომელმა გ. ალექსეევამ, რომელმაც კოშკიდან ხტომაში საუცხოო შედეგი აჩვენა (111,37 ქულა). მან უკან ჩამოიტოვა ტოკიოს უნივერსიადის პრიზიორი კეიკო (იაპონია), პანამერიკული თამაშების ჩემპიონი მ. კინგი (აშშ) და მისი ორი თანამემამულე პ. სიმსი და ს. პოტერი. მეხიკოში აშშ-ს მხტომელებმა ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვეს. ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში უძლიერესი იყო იტალიელი კ. დიბიასი (168,16 ქულა).

ჩვენმა წყალბურთელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს გდრ-ის ნაკრებთან — 4:2. ასპარეზობის ფავორიტებმა — უნგრელებმა მოულოდნელად წააგეს იუგოსლაველებთან — 3:5. დიდი ინტერესი გამოიწვია მექსიკისა და იტალიის ნაკრები გუნდების შეხვედრამ. მექსიკელები თავდავიწყებით გულშემატკივრობდნენ თავიანთ გუნდს, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს იტალიელებმა — 7:5.

უმჩატესი წონის მოკრივე ნ. ნოვიკოვი დამარცხდა მექსიკელ სპორტსმენთან. სამაგიეროდ, გაიმარჯვა ვ. მუსალიმოვმა (საშუალო წონა) მექსიკელ ლ. სანაბრიასთან შეხვედრაში. ორთაბრძოლას სულ ერთი რაუნდი დასჭირდა. საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ რინგის არბიტრმა მეორე რაუნდის დასაწყისშივე შეწყვიტა ბრძოლა.

ქართველ სტუდენტთა წარმატება

დნეპროპეტროვსკი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ ტარდება სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში. ასპარეზობაში წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს სპორტსმენები.

დაშნით მოფარიკავეთა შორის ჩემპიონობა დაისაკუთრა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა შ. სულამანიძემ.

რაპირისტ ქალთა ასპარეზობაში კარგად გამოვიდნენ რ. კეკელია და ლ. კოხრეიძე, რომელთაც შესაბამისად II-III ადგილები დაიკავეს. ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. პრუდკოვამ.

ჭაბუკ ესპადრონისტებში პირველი იყო თბილისელი სპორტის ოსტატი დ. შარაშენიძე, მოზრდილებიდან ფინალში მონაწილეობდნენ გ. ლორთქიფანიძე და ა. გოგელია.

ქების ღირსია ქართველ ესპადრონისტთა გუნდი (გ. ლორთქიფანიძე, ა. გოგელია, გ. ბახტაძე, დ. შარაშენიძე, თ. უკლება), რომელმაც ნახევარფინალში მოუგო რსფსრ-ს ნაკრებს, ხოლო ფინალში მოსკოვის ძლიერ კოლექტივს და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი.

შეჯიბრება გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5:0, 6:3

ბუდაპეშტი, 25 ოქტომბერი. მაგიდის ჩოგბურთში უნგრეთის ღია ჩემპიონატის წინ საბჭოთა ჩოგბურთელები გამოვიდნენ ქ. პეჩში. ჩვენმა ქალთა გუნდმა უნგრეთის II ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 5:0. ვაჟთა გუნდმაც იმარჯვა ადგილობრივ ნაკრებთან შეხვედრაში — 6:3. 2-2 ქულა მოიხვეჭეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ს. სარხოიანმა და გ. სტრელნიკოვმა

უკანასკნელ საათს..

◆ სუსი, 25 ოქტომბერი. მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის მე-7 ტურის ცენტრალური პარტია იყო რ. ფიშერ — ლ. შტეინის შეხვედრა. იგი არ დამთავრებულა და გადაიდო ფიშერისთვის უკეთეს მდგომარეობაში. არ დამთავრებულა აგრეთვე, ს. რეშევსკი — ე. გელერის პარტიაც. ტურნირზე პირველი გამარჯვება იზეიმეს ლ. მიაგმარსურენმა და ბრაზილიის ჩემპიონმა ე. მეკინგმა. პირველმა მოუგო ტუნისელ ს. ბუაზიზს, მეორემ — კოლუმბიელ მ. კუელარს. ლ. პორტიშმა დაამარცხა დ. სატლსი (კანადა). ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. გორტ — ლ. კავალეკი, ბ. ივკოვ — ი. ბილეკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. შედგა VI ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. პორტიშმა დაამარცხა ბუაზიზი, ლარსენმა — კუელარი.

◆ ჰააგა, 25 ოქტომბერი. პატარა ქალაქ სიტგარდის სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში 28 წლის დიასახლისმა მ. გომერსმა 1500 მეტრზე რბენაში აჩვენა 4.15,6. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა.

◆ რომი, 25 ოქტომბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა II ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში აქ დაამარცხა ადგილობრივი „სტელა რამაკოტი" — 96:59.

ფოტო თვალით

არიან ადამიანები, რომლებიც ტურნირებს ემსახურებიან, მაგრამ არ ჩანან, უმათოდ კი მთავარი მსაჯიც უძლურია შედეგების განსაზღვრასა და რეკორდების აღნუსხვაში. როგორც წესი, გარბენისა და გაცურვის შემდეგ ყველა წამზომი მათ ხელში გაივლის — მაჩვენებლების სიზუსტე მთავარმა ქრონომეტრისტმა უნდა შეამოწმოს.

სოციალისტური ქვეყნების დინამოელ მოცურავეთა მატჩში, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა, მთავარი ქრონომეტრისტის რ. ზარიძის ადგილსამყოფელი მხოლოდ წამზომებით მომუშავე მსაჯებმა იცოდნენ. ყოველი დისტანციის შემდეგ ისინი წამზომებს აბარებდნენ ზარიძეს, რომელიც მათ ერთმანეთს ადარებდა და შედეგები მხოლოდ ამის შემდეგ შეჰქონდათ ოქმში. ზედა სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი — ზარიძის (მარცხნივ) მაგიდაზე წამზომების გროვაა.

ტურნირმა კიდევ უფრო დაამეგობრა მოასპარეზენი. სტუმრებს აინტერესებდათ ქართველი მოცურავეების საქმიანობა და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ყოველ თავისუფალ წუთს იყენებდნენ.

სურათზე: ბრნოელები — ზ. მლადკოვა (შუაში) და ე. ლიდმილოვა ესაუბრებიან თბილისელ სპორტის ოსტატს თ. ლეკვეიშვილს (ზის).

სპორტის სახლი ჩებოქსარში

ჩუვაშეთის ასსრ-ს დედაქალაქში ახლახან გაიხსნა სპორტის სახლი, რომელსაც აქვს რამდენიმე დარბაზი, საცურაო აუზი, საჭადრაკო კლუბი. აქ უკვე ვარჯიშობს ქალაქის 600-ზე მეტი უძლიერესი სპორტსმენი—მოცურავე, წყალბურთელი, ძალოსანი, მოკრივე, კალათბურთელი, ფრენბურთელი, მოჭიდავე, ტანმოვარჯიშე, ჩოგბურთელი, მოჭადრაკე.

სპორტის სახლი ნაწილია დიდი სპორტული კომპლექსისა, რომლის აგებაც ჩებოქსარშია განზრახული. უახლოეს ხანში დაიწყება დიდი სპორტული სარბიელის მშენებლობა, სადაც 20 ათასი მაყურებელი დაეტევა.

* * *



სურათზე: ჩებოქსარის სპორტის სახლი.

ფოტო პ. სიმკინისა (ასს-ი).

საქართველოს სპორტკავშირის IV ნ

მიზან მომავალ სპარტაკიად

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ყველაზე გრანდიოზული სპორტული ღონისძიება იყო და არის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. თავისი მასშტაბით იგი ოლიმპიურ თამაშებსაც კი არ ჩამოუვარდება და ჩვენი ქვეყნის სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წლევანდელი IV საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. ამიტომ სპარტაკიადის მონაწილე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტული ორგანიზაციები კარგა ხნით ადრე შეუდგნენ ამ ასპარეზობისთვის მზადებას. სწორედ ამით აიხსნება ის უჩვეულოდ მძაფრი მეტოქეობა, რაც ერთმანეთში ჰქონდათ სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებს. სპარტაკიადის მონაწილე ყველა გუნდი, ცალკეული სპორტსმენები თავს არ იზოგავდნენ, რომ მოეხვეჭათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საიუბილეო მედლები.

ამ მძიმე სპორტულ ბრძოლაში წარმატებით გამოვიდა საქართველოს დელეგაცია, რომელმაც ძლიერ მეტოქეებთან შეჯიბრებაში მოიპოვა მისთვის ტრადიციული საპრიზო V ადგილი და დაისაკუთრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 2 პრიზი.

სწორედ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობას მიეძღვნა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს მორიგი IV პლენუმი. მომხსენებელმა — რესპუბლიკის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ თავისი სიტყვის შესავალში აღნიშნა, თუ რაოდენი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებას. ეს მზადება დაიწყო ჯერ კიდევ 1963 წელს, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დამთავრებისთანავე. ყველანი — სპორტსმენი, მწვრთნელი, ფიზკულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კარგად გრძნობდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში შეიყვანეს დიდი ჯგუფი ახალგაზრდა სპორტსმენებისა, რომლებიც უფრო გამოცდილ უფროს კოლეგებთან ერთად ხვეწდნენ ტექნიკასა და ტაქტიკას, იმაღლებდნენ ოსტატობას. ნაკრები გუნდების საქმიანობაზე დაწესდა მკაცრი კონტროლი, რომელსაც ახორციელებდნენ საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის, რესპუბლიკური ფედერაციების წევრები და სხვ. დიდი დახმარება გაგვიწია სპარტაკიადისთვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. გ. სტურუა.

რესპუბლიკაში სპორტის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შარშანდელმა დადგენილებამ — „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის შესახებ“. ჩვენი სპორტის წინსვლისთვის არანაკლები სტიმული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წლევანდელი დადგენილება იმავე საკითხზე.

ასე რომ, საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადება დაიწყო ჩვენი სისტემის ყველა რგოლში—სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სპორტულ სკოლებსა და სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში.

როგორც ჩვენი, ისე სხვა რესპუბლიკების სპორტულ ორგანიზაციებს ბევრი საკამათო გვქონდა „სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის დებულების“ თაობაზე. ხშირად აღვნიშნავდით, რომ ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში არ შეაქვთ ისეთი სახალხო სახეობა, როგორიც ფეხბურთია. მით უფრო, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე რამდენი ხანია არ ჩატარებულა ფეხბურთელთა შეჯიბრება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დონეზე. რატომ არ უნდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სპარტაკიადაში სამბისტები, ხელბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები?

ასე იყო თუ ისე, სპარტაკიადის პროგრამა უცვლელი დარჩა და ლენინის ქალაქის სპორტული ბაზების სარბიელზე ბრძოლა დაიწყეს მოსწავლე სპორტსმენებმა. ორკვირიანი ასპარეზობის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია VI ადგილზე გავიდა. ეს ნიშნავდა, რომ რესპუბლიკის სპორტსმენებს მთელი ენერგია და მონდომება უნდა გამოევლინებინათ მოსკოვში გამართული სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა კოლექტივმა V საპრიზო ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის ხალხთა ოთხივე სპარტაკიადაში V ადგილი გვხვდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: წინ მიდის თუ არა საქართველოს სპორტი, შეგვიძლია თუ არა უფრო მაღალი ადგილის მოხვეჭა? ამ საკითხზე პასუხის გაცემა იოლია. რაც დრო გადის, სპორტული მაჩვენებლები მით უფრო მაღლდება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. საბჭოთა სპორტსმენებს მთელს მსოფლიოში მოწინავე პოზიციები უჭირავთ და ამიტომ მათთან ბრძოლაში საპრიზო ადგილზე გასვლა ერთი ადგილის ტკეპნას კი არა, საგრძნობ წინსვლას ნიშნავს.

მოვიშველიოთ ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ ჩვენი სპორტის მნიშვნელოვან წინსვლას ბოლო ოთხი წლის მანძილზე. IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენებმა 15 პირველი ადგილი დაისაკუთრეს, იმდენი, რამდენი ოქროს მედალიც სულ მოიხვეჭეს სამივე წინა სპარტაკიადაში. საგრძნობლად გაიზარდა ვერცხლის (30) და ბრინჯაოს (27) მედლების რიცხვი.

მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, ჩვენს საქმიანობაში შეიმჩნევა ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც დღის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ.

კარგად გამოვიდნენ და ქებას იმსახურებენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები (I ადგილი), ჩოგბურთელები (II), წყალბურთელები (III), ტანმოვარჯიშეები და კლასიკური სტილის მოჭიდავეები (IV), წყალში მხტომელები და მოფარიკავეები (V), ტყვიის სროლის ოსტატები და მესტენდურეები (VI). დამაკმაყოფილებელი იყო მოჭადრაკეების, ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნების, ძალოსნების, ცხენოსნების, მძლეოსნებისა და აფროსნების წარმომადგენელთა შედეგები.

საკავშირო სარბიელზე ჩვენი სპორტსმენები წლების მანძილზე წარუმატებლად გამოდიან საგზატკეცილო ველორბოლაში, კრივში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფრენბურთში, ცურვაში. ამ სახეობათა წარმომადგენლებმა ვერც საიუბილეო სპარტაკიადაში გვასახელეს. ახლა მათ დაემატნენ კალათბურთელებიც.

შემდეგ გ. სიხარულიძე შეეხო იმ გუნდების ავ-კარგს, რომლებიც სპარტაკიადაში შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ. გააკრიტიკა როგორც სპორტსმენები, ისე მწვრთნელები.

ილაპარაკა რა რესპუბლიკის მოსწავლე სპორტსმენთა გამოსვლაზე ლენინგრადის ასპარეზობაში, მომხსენებელმა თქვა, რომ მათი შედეგები არ აკმაყოფილებს ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას, ჩამოთვალა მიზეზები, რომლებიც აფერხებენ ნორჩ სპორტსმენთა დაოსტატებას.

რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონებში, ბავშვთა სპორტულ სკოლებში კლასგარეშე მომზადება არ დგას სათანადო დონეზე. დაბალია მწვრთნელთა კვალიფიკაცია, ნაკლებია განათლების ორგანოებისა და სპორტკავშირების კონტროლი. ამას გარდა, საქართველოში სპორტული სკოლების რიცხვი სხვა რესპუბლიკებზე ნაკლებია. მაგალითად, ბელორუსიაში 121 სპორტული სკოლაა, ყაზახეთსა და უზბეკეთში — 100-100-ზე მეტი, უკრაინაში — 332, ჩვენში მხოლოდ 69. ამას ემატება სპორტბაზების სიმცირე, წვრთნის მეთოდების ჩამორჩენილობა და სხვ.

ქართული სპორტის დონის ამაღლებისთვის აუცილებელია მისი გეოგრაფიის გაფართოება. დიდი სპორტი უნდა ინერგებოდეს არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ ყველგან — დაწყებული მსხვილი ქალაქებიდან, დამთავრებული რაიონული ცენტრებით. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, — თქვა მომხსენებელმა, — რომ სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს 458 სპორტსმენიდან 369 თბილისელი იყო, 25 — ფოთელი, 21 — აფხაზეთის წარმომადგენელი, 15 — ქუთაისელი, მთელმა რიგმა რაიონებმა ერთი სპორტსმენიც კი ვერ მისცეს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს.

წარმატების საწინდარი სპორტსაზოგადოებების მუშაობაც არის. აქ დანერგილი უნდა იყოს ყველა სახეობა, რომელიც სპარტაკიადის პროგრამაში შედის. არ შეიძლება შევურიგდეთ იმ მდგომარეობას, რომ თანამედროვე ხუთჭიდი, აკადემიური ნიჩბოსნობა, აფროსნობა და საცხენოსნო სპორტი, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა სახეობა მხოლოდ ერთ ან ორ ორგანიზაციაშია დანერგილი. ამ შემთხვევაში ოსტატობის ზრდაზე ფიქრი შეუძლებელია.

გ. სიხარულიძემ ილაპარაკა სპორტის განვითარების დღევანდელ დონეზე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, თქვა, რომ საჭიროა ყველა სტუდენტი ჩავაბათ ფიზკულტურასა და სპორტში, რომ სპორტის სახეობათა სექციები სრულწლიურად უნდა მუშაობდნენ.

— ამჟამად ჩვენი სპორტის უახლოესი ამოცანაა მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება, — განაგრძო მომხსენებელმა. — როგორც ცნობილია, ტოკიოს თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის 17 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ახლა ოლიმპიური ნაკრები გუნდების კანდიდატად 60 ახალგაზრდა სპორტსმენი ითვლება და სწორედ მათ სათანადო მომზადებას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება.

ოლიმპიური თამაშები მარტო გრანდიოზული სპორტული ღონისძიება როდია. მისი შედეგები დიდ პოლიტიკურ რეზონანსს იწვევს. სსრ კავშირის სპორტსმენთა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენელთა წარმატება ნათელყოფს ამ სახელმწიფოების წინსვლაზე სპორტში. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ოლიმპიური გუნდების კანდიდატებმა იგრძნონ პასუხისმგებლობა. მარტო სარბენ ბილიკებზე და სპორტულ დარბაზებში მომზადება, ტექნიკის ამაღლება როდი კმარა, — სპორტსმენები მორალურადაც უნდა გაკაჟდნენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეხიკო ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს და სიმაღლე აუცილებლად წარმოქმნის დამატებით სიძნელეებს.

მასობრიობის გარეშე შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრი. წინათ ჩვენ კარგი ტრადიცია გვქონდა — ვაწყობდით ღია შეჯიბრებებს, რომლებშიც ახალბედა სპორტსმენები ასპარეზობდნენ, იმართებოდა მასობრივი კროსები, გადასვლები, ლაშქრობები. ეს ტრადიცია რატომღაც დავივიწყეთ. ამას გარდა, საჭიროა სისტემატურად გაიმართოს ქალთა სპარტაკიადები.

ფიზკულტურასა და სპორტში წარმატების საწინდარია კეთილმოწყობილი ბაზები. ამ მხრივ ჩვენში ცოტა როდი გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ამ ცოტა ხნის წინ მწყობრში ჩადგა მოჭიდავეთა დარბაზი თბილისში, სადაც 100-ზე მეტ სპორტსმენს შეუძლია ერთობლივი მეცადინეობა, ახალი ბაზები შენდება ბაკურიანში, ლესელიძეში, თბილისის კიროვის სახელობის პარკში მთამსვლელთა და მოჭიდავეთა კლუბი, დაიწყო მუშაობა ველოტრეკის, მტკვარზე ნიჩბოსნური სადგურის, სანაოსნოზე საცურაო აუზის ასაშენებლად.

— ვაჯამებთ რა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგებს, — თქვა დასასრულს მომხსენებელმა, — საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ, რათა კიდევ უფრო დიდი წარმატებები მოიპოვონ ფიზკულტურის მასობრიობის, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების საქმეში. ამას გვავალებს საიუბილეო წელი, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ფიზკულტურასა და სპორტზე.

• • •

კამათში გამოსულებმა თავიანთი სიტყვები მიუძღვნეს საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობას საკავშირო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებში. დაიწყო გულახდილი საუბარი იმ დიდ და ნაყოფიერ მუშაობაზე, რაც ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა საიუბილეო წელს გასწიეს. პლენუმის მონაწილეთა საერთო აზრით, რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის გამოსვლა მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალში და ლენინგრადში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, გამარჯვების კიდევ ერთი ახალი ფურცელი იყო ჩვენი სპორტის სახელოვან მატიანეში. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა გვერდი არ აუარეს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ აფერხებენ ჩვენი სპორტის განვითარებას და რომელთა დროული აღმოფხვრაც ერთიორად გაზრდიდა რესპუბლიკის სპორტულ პოტენციალს.

საიუბილეო წელს ქუთაისელი სპორტსმენების მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე ილაპარაკა ქალაქის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ლ. ახვლედიანმა. მან აღნიშნა, რომ ქუთაისის ფიზკულტურელები და სპორტსმენები პირნათლად შეხვდნენ ოქტომბრის 50 წლისთავს. ამის მკაფიო დადასტურება იყო საქართველოს სპარტაკიადა —რესპუბლიკის სპორტულ მიღწევათა დათვალიერება, რომელშიც ქუთაისელებმა პირველად ჩამოიტოვეს აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები და თბილისელთა შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში II საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ეს წარმატება რომ შემთხვევითი არ იყო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამაც ცხადყო. საქმე ისაა, რომ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ბევრი ქუთაისელი სპორტსმენი მოხვდა, რომელთა შორის 16-მა საპრიზო ადგილი დაიკავა.

შემდეგ ლ. ახვლედიანმა აღნიშნა, რომ კვლავინდებურად ქალაქის წარმოებებისა და დაწესებულებათა ყურადღების ცენტრშია უფროსი ასაკის ადამიანთა ჩაბმა ფიზკულტურულ საქმიანობაში, საწარმოო ტანვარჯიში და საერთო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მშრომელთა ყოველდღიური საქმიანობა და დასვენება.

მაგრამ ისე ნუ გაგვიგებთ, — განაცხადა თავისი სიტყვის დასასრულს ლ. ახვლედიანმა, თითქოს ჩვენს ქალაქში ყველაფერი წესრიგში იყოს. ქუთაისი კვლავ განიცდის ბაზების ნაკლებობას, რაც სერიოზულად აფერხებს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებას. ავიღოთ მაგალითად საწყლოსნო სპორტის სახეობები, კერძოდ კი წყალბურთი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში არ არის არც ერთი საწყლოსნო ბაზა, ქუთაისელი სპორტსმენები წარმატებით იცავენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. რიგიანი საცურაო აუზი რომ გვქონდეს, ხომ ერთიორად გაიზრდებოდა და საუკეთესო წყალბურთელთა რიცხვი?

მოსწავლე სპორტსმენთა ავ-კარგზე და მათ პერსპექტივებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ი. ბეროზაშვილმა. მან საფუძვლიანად შეაჯამა საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა შედეგები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, ხაზი გაუსვა როგორც წარმატებებს, ისევე ნაკლოვანებებს. კერძოდ, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდი უმთავრესად თბილისელთა ბაზაზეა შედგენილი, რაც ყოვლად მიუტევებელი ფაქტია. ნაკრები გუნდის გეოგრაფიის გაზრდა პირველი მნიშვნელობის ამოცანაა, რადგან იგი ამავე დროს რესპუბლიკის რაიონებში სპორტული მუშაობის ხარისხის მაჩვენებელიც იქნება. დროა აფხაზეთმა, აჭარამ, ქუთაისმა, ფოთმა, რუსთავმა და სხვ. თანაბარი წვლილი შეიტანონ მოსწავლეთა სპორტის განვითარებაში.

რა არის ამისთვის საჭირო? პირველ ყოვლისა, ბავშვთა სპორტული სკოლების ქსელის გაფართოება რაიონულ ცენტრებში. ბევრგან,—განაცხადა ი. ბეროზაშვილმა,—ა. წ. 1 სექტემბრიდან უკვე გაიხსნა ახალი სპორტსკოლა, სადაც მთავარი ყურადღება სპორტის ჩამორჩენილ სახეობებს ეთმობა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ წვეთია ზღვაში.

აფხაზეთის სპორტულ ცხოვრებას მიუძღვნა თავისი გამოსვლა სპორტკავშირის თავმჯდომარემ ჯ. გუბაზმა. რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგით,—განაცხადა მან, — ჩვენ უკმაყოფილონი ვართ, რადგან აფხაზეთი თავისი სპორტული პოტენციალით უდავოდ უკეთეს ადგილს იმსახურებს.

შემდეგ ჯ. გუბაზი შეეხო საქართველოს სპარტაკიადის შედე-
ლის მიზეზიდაც. აფხაზე-
ველოსიპედისტთა ნაკრებ-
დან მოიხსნა. ჩვენ, —
ტკავშირის თავმჯდომარე
იგივე სპორტსმენები გამ
კზეც და გზატკეცილზე
გონა, რომ დებულება
ლაძდა. მსაჯთა კოლეგ
სნა.

აფხაზეთის სპორტკ
დომარემ არაფერი ილა
ვნელოვანი ნაკლოვან
რომლებიც წლების გან
მჩნევა ამ ავტონომიურ
ფიზკულტურული ორგან
მიანობაში.

თვითკრიტიკულ ხასია
მოსწავლეთა რესპუბლიკ
დაში აფხაზეთის დელე
ბის შეჯამება. ყველაზე
არის, — თქვა ჯ. გუბაზ
ყვის დასასრულს,—რომ
სერიოზულ კონტროლს
ადგილობრივი ხელმძღვ
ები და არც განათლებ
დროული და საქმიანი
სპორტსმენებთან მომ
ორად გაუზრდიდა პას
გრძნობას.

სსრ კავშირის ხალხთა
სპარტაკიადაში ჩვენი
სპორტსმენთაგან თავი
მოჭიდავეებმა ისახელეს
ყოფილიყო, რადგან საქ
თგანვე უმაღლესი კლა
მსოფლიოს, ოლიმპიური

ევროპის ჩემპიონები ს
ლება. პლენუმის მონაწ
ლიკის მოჭიდავეთა
ამხანაგების სახელით
ლოს ჭიდაობის ფედერ
მარე ი. საჩაქიშვილი
ლოს მნიშვნელო
უძლება ახალგაზრდა
რების სწორად

საკავშირო სპარტაკი
გვიჩვენა, — თქვა ი. სა
რომ ახალგაზრდა და გა
თნელთა ერთობლივ მუ
შაობას დიდი სარგებლ
პრაქტიკას, რომელმაც
სავსებით გაამართლა,
ვალში ვუღალატებთ.

შემდეგ ფედერაციის
ილაპარაკა საჭიდაო დარ
ბობაზე. თბილისში ეს
ბოლოს მოგვარდა, მაგრ
ბევრ ქალაქსა და რაიო
საჭიდაო დარბაზების
რად იგრძნობა.

უმაღლესი და სპეცი
განათლების მინისტრი
ფორაქიშვილმა მკაც
ის უმაღლესი სასწავლ
ბიც ჯეროვნად არ ზრ
განვითარებისთვის. მაგ
დაასახელა ბათუმის პ
სტიტუტი, სადაც მივიწ
ტის მთელი რიგი წამ
თავის დროზე ამ საკ
იმსჯელა საქართველოს
მაგრამ, სამწუხაროდ, ა
ლა.

ფიზაღზრდის კადრებ
თქვა ზ. ფორაქიშვილმა,
ანობის ერთ-ერთი უ
უბანია. კადრების აღზ
კაში მხოლოდ ფიზკუ
ტუტი ხელმძღვანელობ
სი არ არის. სწორედ ა
რომ სოხუმის პედაგოგ
საც დააკისრა ეს ფუნ
ბული ვართ, რომ იგი
ნში გვერდში ამოუ
როს ძმას — საქართვე
რის ინსტიტუტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუმი

ფიზიკური კულტურა და სპორტი ზოგიერთი წარმოების ხელმძღვანელისთვის ზედმეტი ფუფუნებაა, ამიტომ ისინი ყოველმხრივ ხელს უშლიან მის პოპულარიზაციას. საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ მკაცრად გააკრიტიკა წარმოებებისა და დაწესებულებების ასეთი ვაი-ხელმძღვანელები. აზრის გასამტკიცებლად მან კონკრეტული მაგალითებიც მოიყვანა. აი, ერთ-ერთი: პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიის" დირექციამ სამუშაოდან გაათავისუფლა სპორტსმენთა ერთი ჯგუფი, რომლის დანაშაულიც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში სისტემატური ვარჯიში იყო.

პროფკავშირების ზოგიერთ რესპუბლიკურ კომიტეტს, — აღნიშნა ო. ცანავამ თავისი სიტყვის დასასრულს, — ფიზკულტურა თავის ღვიძლ საქმედ არ მიაჩნია და მას, ასე ვთქვათ, ეჭვის თვალით უყურებს. დროა ყველამ შეიგნოს, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და მშრომელთა დასვენების ჩინებული საშუალება.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. რურუამ თქვა, რომ ფალავანთა სამდარბაზიანი კლუბი, რომელიც თბილისში აშენდა, უკეთესი საჩუქარია, რასაც ინატრებდნენ მოჭიდავეები. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. სამწუხაროდ, საჭიდაო ინვენტარის უქონლობა დღემდე იგრძნობა როგორც დედაქალაქში, ისე რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში.

შემდეგ რ. რურუამ საქართველოს სპორტსმენთა სახელით ითხოვა ახალი სპორტული ჟურნალის დაარსება. ხომ აქვთ, — განაცხადა მან, — ასეთი ჟურნალი უკრაინელებს, ესტონელებს? რატომ არ უნდა გვქონდეს იგი საქართველოში, ჩემპიონთა და რეკორდსმენთა სამშობლოში?

ზუგდიდის რაიონის სპორტსმენთა წარმატებებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სპორტკავშირის თავმჯდომარემ ბ. ხორავამ. რაიონი შრომითი საქმიანობის მიხედვით ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ჩვენ ვცდილობთ, რომ საერთო წარმატებების ფერხულს არც სპორტსმენები ჩამორჩნენ. ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ მახარაძის რაიონი და ძალების დაუზოგავად ვიბრძვით, რათა პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი.

რაიონი ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმებს წლების მანძილზე წარმატებით ასრულებს. ახლა ზუგდიდსა და მახლობელ სოფლებში სპორტული ბაზების მშენებლობაა გაჩაღებული. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წარმატებებზე ფიქრი უაზროა, თუ სპორტსმენებს ოსტატობის ასამაღლებლად ნორმალური ბაზები არ ექნათ. ამ საკითხის წარმატებით გადაჭრა, თავის მხრივ, განაპირობებს სპორტის ისეთ ჩამორჩენილ სახეობათა დანერგვა-განვითარებას, როგორიცაა ფრენბურთი, ჭადრაკი და სხვ.

„განთიადის" სისტემაში შემავალი ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაზე ილაპარაკა ამ სპორტსაზოგადოების თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ. ხალხთა სპარტაკიადის შეჯიბრებებში „განთიადი" 108 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი განთიადელებმაც შეიტანეს.

მაგრამ ხარვეზები მუშაობაში სპორტსაზოგადოებას მაინც აქვს. მთელი რიგი სახეობები განთიადელთა შორის ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება კალათბურთი, სატრეკო ველოსპორტი, თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა. სპორტსაზოგადოებამ უკვე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სპორტული საქმიანობის გარდა, — თქვა ი. ბოჭორიძემ, — „განთიადში" დიდი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა ჩაბმას მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში. შემდეგ მან ილაპარაკა ზოგიერთი ფიზკულტურული კოლექტივის ორგანიზაციულად განმტკიცების, სპორტის აგიტაციის გაუმჯობესებისა და საწარმოო ტანვარჯიშის საყოველთაოდ დანერგვის აუცილებლობაზე.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში საქართველოს მძლეოსანთა გუნდს ხელმძღვანელობდა და, ბუნებრივია, თავისი გამოსვლა მან სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა. მძლეოსნებმა მოსკოვში რომ წარმატებით იასპარეზეს, ეს დღეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ხარვეზები მაინც არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც.

პირველ რიგში, — თქვა ე. გოკიელმა, — ძირითად მეტოქეებთან შედარებით ჩვენ ნაკლები გვაქვს ზრდის ტემპი. ამას კი თავისი მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, არაორგანიზებულად ტარდება მასობრივი კროსები, რომლებიც მძლეოსანთა ოსტატობის ამოსავალ წერტილად ითვლება. სწორედ ამ მასობრივმა კროსებმა უნდა გამოავლინონ საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენლები, რადგან რესპუბლიკას ამ სახეობებში ყველაზე მეტად უჭირს.

შემდეგ ე. გოკიელმა განაცხადა, რომ ბაზების უკმარობა კვლავ ჩვენი ზრუნვის მთავარი ობიექტია. მძლეოსნებს ვარჯიშის არახელსაყრელი პირობები აქვთ რაიონებშიც და თბილისშიც, ხოლო უროს მტყორცნელებს საერთოდ არა აქვთ სამეცადინო ადგილი. ე. გოკიელმა რწმენა გამოთქვა, რომ შესაბამისი ორგანიზაციები ყურად იღებენ მძლეოსნების თხოვნას და ააშენებენ დახურულ მანეჟს, რომელსაც წარმატებით გამოიყენებენ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც.

არც ისე დიდი ხანია, რაც რესპუბლიკაში შეიქმნა სპორტვაჭრობის სამმართველო, რომელსაც ვეებერთელა მისია აკისრია: მან საჭირო სპორტინვენტარით უნდა მოამარაგოს ჩვენი ქალაქები, რაიონული ცენტრები და სოფლები. საქართველოს სპორტვაჭრობის მმართველმა ა. პაიჭაძემ პლენუმის მონაწილეებს აღუთქვა, რომ ვაჭრობის მუშაკები ძალას და ენერგიას არ დაზოგავენ, რათა სპორტსმენებმა დროულად მიიღონ ხარისხოვანი ინვენტარი და ფორმა.

„კოლმეურნის" სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ვაშაკიძემ ხაზი გაუსვა სპორტის ეროვნული სახეობების მნიშვნელობას. სამწუხაროდ, — თქვა მან, — ზოგჯერ უგულებელყოფენ ჩვენს ეროვნულ სახეობებს და ნელ-ნელა ივიწყებენ მას. ამ მხრივ სამტრედიელთა ინიციატივა მისაბაძია. „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ მიზნად დაისახა განაახლოს ყველა ქართველისთვის ძვირფასი ეროვნული სახეობები: ცხენოსნობა, ლელოს ბურთი, ჭიდაობა და სხვ. იმისთვის, რომ მივაღწიოთ წარმატებებს სპორტის კლასიკურ სახეობებში, ჯერ ჩვენი ეროვნული სპორტი უნდა გავაცოცხლოთ, — განაცხადა თავისი სიტყვის დასასრულს ჯ. ვაშაკიძემ.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს მესტენდურეთა (ადგილიდან სროლა) გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ამ გუნდის ქაბუკმა წევრმა, ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა კ. ულენტმაც. მან ბოლო 200 გასროლიდან 195 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ულენტმა ამას წინათ ქუთაისის საქალაქო სპარტაკიადაშიც ისახელა თავი.

სურათზე: კ. ულენტი ასპარეზობის დროს.

ფოტო ჯ. ფზაკაძისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

განვლილ მატჩში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „პახტაკორს" შორის თავი გამოიჩინა თბილისელმა კ. ასათიანმა, რომელიც ერთადერთი გოლის ავტორი იყო.

სურათზე: კ. ასათიანს (იგი ვ. სოლოხოს (№ 7) უკან ჩანს) გააქვს ბურთი ტაშკენტელთა კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ავტორები, გოლები, კურიოზები

დადგა სსრ კავშირის XXIX საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი, გადამწყვეტი ეტაპი. ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გამორკვეული როგორც საპრიზო, ისე ბოლო ადგილების მფლობელთა ვინაობა. დარჩენილ შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გათამაშების ყველა 19 მონაწილისთვის.

23 ოქტომბრის მატჩებში გატანილი გოლების ავტორები შემდეგი ფეხბურთელები არიან: ცსკა-სი და „ნეფტიანიკის" შეხვედრაში ვ. მასლიაევის მიერ გატანილი ბურთის შემდეგ არმიელები ბოლო წუთამდე წინ იყვნენ და სწორედ მაშინ, როცა მსაჯს თამაში უნდა დაემთავრებინა, ბაქოელთა ნახევარმცველმა ვ. სემიგლაზოვმა გაქვითა გოლი — 1:1.

ლუგანსკის „ზარიასი" და როსტოვის არმიელთა გუნდის შეხვედრაში ბურთები გაიტანეს ო. სერგეევმა, ბ. კესლომ („ზარია") და ო. კოპაევმა (ასკ).

24 ოქტომბერი. პირველი ადგილის პრეტენდენტს — კიევის „დინამოს" ძალიან გაუჭირდა „ლოკომოტივთან" მოგება, თუმცა 2 ქულა მაინც იქნა აღებული. გოლის ავტორია ვ. სერებრიანიკოვი.

დიდ წარმატებას მიაღწია „ჩერნომორეცმა", რომელმაც მოსკოვში დაამარცხა ადგილობრივი „ტორპედო" — 2:1. ანგარიში გახსნა ს. ვარგამ, შემდეგ მოსკოველთა ცენტრალურმა მცველმა ლ. პახომოვმა საკუთარ კარში გაიტანა მეორე გოლი და მხოლოდ ამის შემდეგ გაქვითა „ტორპედომ" ერთადერთი ბურთი (მ. გერშკოვიჩი).

საინტერესოა, რომ წელს ეს უკვე მეათე გოლია, რომელიც საკუთარ კარში გააქვთ მცველებს. აქ „წინაა" ოდესის „ჩერნომორეცის" მცველი პ. ცუნინი, რომელმაც ორჯერ აიძულა თავისი მეკარე გამოეტანა ბადიდან ბურთი.

კვლავ ჰქონდა წესრიგის დარღვევას ადგილი. „კრილია სოვეტოვისა" და „არარატის" მატჩში მსაჯი ა. ალიმოვი (მოსკოვი) იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა კუიბიშეველი გ. სახაროვი და „არარატის" კაპიტანი რ. ევიაზარიანი. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი გათამაშების პირველ წრეში სულ 3 მოთამაშე იყო გაძევებული მინდვრიდან, მეორე წრეში კი უკვე მეათე შემთხვევაა, როცა მსაჯები მიმართავენ სასჯელის ამ უკიდურეს ზომას.

ვინც ყურადღებით ადევნებს თვალს ჩემპიონატის მსვლელობას, გათამაშების ცხრილს და დარჩენილ კალენდარს, იცის, რომ პირველ ადგილს ჰყავს 2 რეალური პრეტენდენტი — კიევისა და მოსკოვის დინამოელები.

კიეველებს თავიანთ მოწინააღმდეგეზე 2 ქულით ნაკლები აქვთ დაკარგული. ეს უკვე დიდი ფორაა. ამას გარდა, ისინი მხოლოდ 1 თამაშს ატარებენ გასვლაზე (მოსკოვის „სპარტაკთან"), დანარჩენებს კი თავიანთ მინდორზე — „ნეფტიანიკთან", „კრილია სოვეტოვთან", ცსკა-სთან, მინსკის „დინამოსთან", „ზენიტთან" და „არარატთან".

მოსკოველებს მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვთ შინ — „ზარიასთან". ამის შემდეგ იწყება ძნელი ტურნე ამიერკავკასიაში.

II ადგილზე გასვლის თეორიული შანსი აქვს თბილისის „დინამოსაც", მაგრამ მას შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმი 49 ქულა (ახლა მას აქვს 39 ქულა), მოსკოვის დინამოელებს კი უკვე აქვთ 46 ქულა და მათი მაქსიმალური შესაძლებლობა აღწევს 56-ს, თბილისელები უნდა მივიჩნიოთ ბრინჯაოს მედლების ყველაზე უფრო უეჭველ პრეტენდენტებად. ჩვენი გუნდი მოსკოვში ითამაშებს „ლოკომოტივთან" და „ტორპედოსთან", რის შემდეგ თავის სტადიონზე მიიღებს მოსკოვის „დინამოს", „სპარტაკს" და „ზარიას".

თბილისის „დინამოზე" 1 ქულით მეტი აქვს დაკარგული მინსკის „დინამოს". ამ გუნდს მძიმე კალენდარი დარჩა: 2 მატჩი საკუთარ მინდორზე როსტოვის არმიელებთან და „შახტიორთან", მერე კი ხანგრძლივი მგზავრობა და თამაშები ერევანში, ბაქოში, კიევსა და ოდესაში.

35 ქულა 30 ტურის შემდეგ მოაგროვა „შახტიორმა". იგი ჯერ გასვლით მატჩებს ჩაატარებს ლენინგრადში და მინსკში, შემდეგ კი შინ ითამაშებს მოსკოვის „ტორპედოსთან", „ლოკომოტივთან", „კრილია სოვეტოვთან" და ცსკა-სთან.

მოსკოვის „სპარტაკი". იგი 34 ქულით 30 თამაშის შემდეგ ასევე III ადგილის კანდიდატია. სპარტაკელები ჯერ მიიღებენ „ზარიას", კიევის „დინამოს", რის შემდეგ ითამაშებენ ქუთაისში, თბილისში, ერევანსა და ბაქოში.

„ა" კლასი I ჯგუფი

დანარჩენ გუნდებს, ჩვენი აზრით, არა აქვთ შანსი მიაღწიონ საპრიზო ადგილს.

ახლა აუტსაიდერთა შესახებ. აქაც გაცხარებული ბრძოლა წარმოებს გუნდებს შორის ბოლო, მე-19 ადგილის თავის დასაღწევად. უმაღლესი ლიგის დატოვების პირველი კანდიდატია „ზენიტი". იგი უწინდებურად ცხრილის ჩამკეტის როლში გვევლინება (20 ქულა 30 თამაშის შემდეგ) და წინაც ძალზე ძნელი თამაშები აქვს დარჩენილი. მართალია, ლენინგრადელები შინ მიიღებენ „შახტიორს" და როსტოვის არმიელებს, მაგრამ მერე გასვლაზე ითამაშებენ „ნეფტიანიკთან", „არარატთან", „ჩერნომორეცთან" და ბოლოს — კიევის „დინამოსთან".

2 ქულით წინაა „ჩერნომორეცი". ამ გუნდმა 24 ოქტომბერს თავისი უკანასკნელი გასვლითი მატჩი ითამაშა მოსკოვის „ტორპედოსთან", ახლა ოდესელებს ჩასატარებელი აქვთ 6 შეხვედრა და ყველა თავის ქალაქში. მათი მოწინააღმდეგეებია „არარატი", „ნეფტიანიკი", ცსკა, „კრილია სოვეტოვი", „ზენიტი" და მინსკის „დინამო". მშობლიურ კედლებში „ჩერნომორეცი" ალბათ დააგროვებს საჭირო ქულებს.

23 ქულა აქვს „ლოკომოტივს". რკინიგზელთა მდგომარეობა შედარებით უარესია, ვინაიდან ისინი სულ 2 თამაშს ატარებენ მოსკოვში (თბილისის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო"), მერე კი მიემგზავრებიან როსტოვში, დონეცკში, ტაშკენტსა და ალმა-ათაში.

აუტსაიდერთა რიგებში ირიცხებიან „პახტაკორი" (ტაშკენტი) და „ზარია" (ლუგანსკი), მაგრამ მათ 24 ქულა აქვთ თვითეულს და, ამდენად, გარკვეული შანსებიც შეინარჩუნონ ადგილი „ა" კლასის I ჯგუფში.

ახლა ქუთაისის „ტორპედოს" შესახებ. ჩვენმა მეორე გუნდმა მნიშვნელოვანი თამაში წააგო ალმა-ათის „კაირატთან" თავის მინდორზე, მაგრამ ახლანდელი 25 ქულა საკმარისი გარანტიაა საიმისოდ, რომ კოლექტივმა იფიქროს შემდგომ წინსვლაზე და სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ქუთაისელთა დარჩენილი შეხვედრების კალენდარი ასეთია: ჯერ გასვლაზე მატჩები მოსკოვის „ტორპედოსთან" და „ლოკომოტივთან", მერე კი საკუთარ მინდორზე „სპარტაკთან", მოსკოვის „დინამოსთან" და „ზარიასთან".

ნაკრებში — 9 თბილისელი

ახლახან ერევანში გაიმართა ახალგაზრდა დინამოელ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ერევნის, მოსკოვის, თბილისის, ხარკოვის, ვოლგოგრადისა და პერმის კოლექტივებმა. შეჯიბრების მონაწილეთა ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა.

თბილისის გუნდს ამზადებდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი, რომელმაც მოკლე ხანში შეძლო შეექმნა მეგობრული და მონოლითური კოლექტივი.

ვოლგოგრადელებთან გადამწყვეტ შეხვედრამდე თბილისელებმა დაამარცხეს პერმის (75:69), ერევნის (51:39), ხარკოვის (69:59) და მოსკოვის (65:54) გუნდები. ჩვენმა კალათბურთელებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მოსკოველებთან. ამ შეხვედრაში იყო ყველაფერი, რაც თანამედროვე კალათბურთს ახასიათებს: ზესწრაფი შეტევა, მახვილგონიერი კომბინაციები და ბოლოს, უზუსტესი ტყორცნა. ერთი სიტყვით, ამ მატჩმა გაამართლა იმედი, რომ საქართველოში კალათბურთი კვლავ აღორძინების გზაზე დგას.

გადამწყვეტ შეხვედრამდე დაუმარცხებლად მოვიდა ვოლგოგრადის გუნდიც. სხვათა შორის, ამ კოლექტივის მწვრთნელია სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ძმა ე. გომელსკი. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდში თამაშობენ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ნიკიტინი (სიმაღლე 210 სმ) და ბალაშოვი (205 სმ). მატჩი დაიწყო სწრაფ ტემპში. ინიციატივა თავიდანვე ქართველმა სპორტსმენებმა ხელთ იგდეს და შუა ტაიმში სარწმუნოდ ლიდერობდნენ — 30:17. საბოლოოდ პირველი ტაიმი ჩვენებმა 3 ქულის სხვაობით მოიგეს. შესვენების შემდეგ თბილისელთა რიგებს რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა 5-5 ჯარიმის გამო. განსაკუთრებით იმოქმედა ზ. ქარაბაის გასვლამ. მეტოქემ მხოლოდ ამ ვითარებაში შეძლო უპირატესობის მოპოვება. საბოლოოდ გამარჯვება ვოლგოგრადელებს დარჩათ — 75:65.

მიუხედავად ამ წაგებისა, თბილისელ დინამოელთა 9 მოთამაშე მიწვეულია სსრ კავშირისა და „დინამოს" ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში (მ. ქორქია, რ. მამალაძე, ზ. ქარაბაი, გ. მიქიაშვილი, თ. შილოღოშვილი, ვ. ქუთათელაძე, თ. ფიცხელაური, ი. მეჟლუმოვი და ზ. ლეონიძე). გარდა ამისა, დინამოელთა ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად მიწვეულია ლ. ინწკირველი. ცხრავე თბილისელი მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიურ იმედთა ტურნირში, რომელიც 3-9 ნოემბერს გაიმართება ერევანში. ამ ასპარეზობაში გამოვლენ სსრ კავშირის, „დინამოს", ცსკა-ს და პროფკავშირთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

ფ. ლეონიძე.

ძალოსნები V ადგილზე

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გრძელდება ფიზკულტურის ინსტიტუტების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. კრივოი როგში დამთავრდა ძალოსანთა ასპარეზობა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ათლეტებმა V ადგილი დაიკავეს გუნდურ ჩათვლაში.

15 და 20

დღეს თურქეთის ქალაქებში იწყება ევროპის VII ჩემპიონატი ფრენბურთში. ტურნირში მონაწილეობს 15 ქალთა და 20 ვაჟთა ნაკრები გუნდი. ჩემპიონობის მაძიებლები ოთხ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ქვეჯგუფებში 2-2 უძლიერესი გავა ფინალში, სადაც საბოლოოდ გადაწყდება კიდევაც საპრიზო ადგილების ბედი.

აი როგორ განაწილდნენ გუნდები ქვეჯგუფებში. **ქალები: I ქვეჯგუფი** (თამაშები გაიმართება ანკარაში) 26. X. გდრ — უნგრეთი, იტალია — რუმინეთი; 27. X. გდრ — იტალია, რუმინეთი — უნგრეთი; 28. X. გდრ — რუმინეთი, იტალია — უნგრეთი.

II ქვეჯგუფი. სტამბოლი. 26. X. ბულგარეთი — ისრაელი, თურქეთი — შვეცია; 27. X. ბულგარეთი — თურქეთი, ისრაელი — შვეცია, 28. X. ბულგარეთი — შვეცია, ისრაელი — თურქეთი.

III ქვეჯგუფი. ადანი. 26. X. გფრ — პოლონეთი, ბელგია — ჩეხოსლოვაკია; 27. X. ბელგია — გფრ, პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია; 28. X. გფრ — ჩეხოსლოვაკია, ბელგია — პოლონეთი.

IV ქვეჯგუფი. იზმირი. 26. X. ჰოლანდია — შვეიცარია; 27. X. სსრ კავშირი — შვეიცარია; 28. X. სსრ კავშირი — ჰოლანდია.

ვაჟები: I ქვეჯგუფი. ადანი. 26. X. გდრ — სსრ კავშირი, ავსტრია — ჰოლანდია; 27. X. გდრ — ჰოლანდია, სსრ კავშირი — შვეცია; 28. X. ჰოლანდია — შვეცია, ავსტრია — გდრ; 29. X. ავსტრია — შვეცია, სსრ კავშირი — ჰოლანდია; 30. X. ავსტრია — სსრ კავშირი, გდრ — შვეცია.

II ქვეჯგუფი. იზმირი. 26. X. საბერძნეთი — უნგრეთი, საფრანგეთი — იუგოსლავია; 27. X. საბერძნეთი — იუგოსლავია, ბელგია — უნგრეთი. 28. X. ბელგია — იუგოსლავია, საბერძნეთი — საფრანგეთი; 29. X. ბელგია — საფრანგეთი, უნგრეთი — იუგოსლავია, 30. X. უნგრეთი — საფრანგეთი, ბელგია — საბერძნეთი.

III ქვეჯგუფი. ანკარა. 26. X. იტალია — ფინეთი, თურქეთი — ჩეხოსლოვაკია; 27. X. ისრაელი — ჩეხოსლოვაკია, თურქეთი — ფინეთი; 28. X. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია, ისრაელი — იტალია; 29. X. იტალია — თურქეთი, ისრაელი — ფინეთი; 30. X. ისრაელი — თურქეთი, იტალია — ჩეხოსლოვაკია.

IV ქვეჯგუფი. სტამბოლი. 26. X. ალბანეთი — რუმინეთი, ბულგარეთი — პოლონეთი; 27. X. ალბანეთი — ბულგარეთი, გფრ — რუმინეთი; 28. X. ბულგარეთი — გფრ, ალბანეთი — პოლონეთი; 29. X. გფრ — პოლონეთი, ბულგარეთი — რუმინეთი; 30. X. პოლონეთი — რუმინეთი, ალბანეთი — გფრ.

კანადელი პროფესიონალი საბჭოთა ჰოკეის შესახებ

ახალი ამბების სააგენტო

მოსკოვში, საავიაციო კომპანია „ერ კანადაში“ მუშაობს კაცი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ჰოკეისთან. ეს არცაა გასაკვირი: 34 წლის აგი კუკულოვიჩი კანადელია და ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს. კუკულოვიჩი 10 წელიწადს თამაშობდა ცენტრალურ თავდამსხმელად პროფესიულ კლუბებში — „ნიუ-იორკ რეინჯერსში“ და „დეტროიტ რედ უინგსში“. ამ ხნის მანძილზე მან 250 შაიბა გაიტანა. მოგვიანებით იგი თამაშობდა მოყვარულთა გუნდებში, კერძოდ, კანადის ნაკრებში, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საავიაციო კომპანია „ერ კანადის“ თანამშრომელი გახდა.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი შეხვდა კუკულოვიჩს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

● **დიდი ხანია ჩვენს ქვეყანაში ხართ?**

— ხუთი თვე.

● **ხშირად დადიხართ ჰოკეის საყურებლად?**

— სამწუხაროდ, იშვიათად. მხოლოდ 4 მატჩის ნახვა მოვასწარი.

● **მაგრამ ორწლინახევრის წინ თქვენ მოსკოვსა და ლენინგრადში იყავით როგორც კანადის ნაკრების წევრი. უფრო გვიან კი მგონი ტამპერეს მსოფლიო ჩემპიონატში შეხვდით საბჭოთა ჰოკეისტებს.**

— სწორია.

● **ხომ არ გაგვიზიარებთ შთაბეჭდილებებს საბჭოთა ჰოკეის შესახებ?**

— თქვენს ჰოკეისტებს მე გავეცანი ჯერ კიდევ კანადაში, სადაც საბჭოთა გუნდები ჩამოვიდნენ. მაშინ თავად არ შევხვედრივარ თქვენებს, მაგრამ მათს თამაშს ყურადღებით ვადევნებდი თვალს. საბჭოთა ჰოკეისტები მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ, ჩვენ კი რამდენიმე წაგება გვქონდა მათთან. როგორც ყოველ კანადელს (ჩვენში რამდენი კაცია, იმდენი ჰოკეის მოყვარულიც არის) მაინტერესებდა არა მარტო ის, თუ რაშია თქვენი ჰოკეისტების ძალა, არამედ ისიც, თუ რატომ არიან ისინი ძლიერნი. ვფიქრობ, მრავალმა კანადელმა დღემდე ვერ მიიღო პასუხი მეორე კითხვაზე. თავად მე ახლახანს გავიგე ეს. თურმე თქვენი ჰოკეისტებისთვის სეზონი გრძელდება 10 თვემდე, ესე იგი, 3 თვით მეტი, ვიდრე ჩვენში. თქვენი გუნდები უკვე აგვისტოში ატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს. გარდა ამისა, მსმენია, რომ ისინი ივლისშიც ვარჯიშობენ. გამოდის, რომ საბჭოთა ჰოკეისტებს პრაქტიკულად არც კი სჭირდებათ ფორმაში შესვლა — ერთიორი თვის მანძილზე ისინი, როგორც ჩანს, ვერ ასწრებენ ამ ფორმის დაკარგვას. თქვენთან პატარა ბიჭებიც კი ვარჯიშობენ ზაფხულობით ყინულზე.

კანადელი ჰოკეისტები ზაფხულში თავის თავს ეკუთვნიან. პროფესიონალებიც კი ვარჯიშს მხოლოდ შემოდგომით იწყებენ. ბიჭებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. მათთვის სეზონი ზამთარში იწყება. აი, ეს არის, ჩემის აზრით, თქვენი სიძლიერის მთავარი მიზეზი.

● **რაში მჟღავნდება საბჭოთა ჰოკეისტების ძალა?**

— სწრაფ კომბინაციურ თამაშში. ასეთი თამაშის მისაღწევად საჭიროა ურთიერთგაგების საუცხოო უნარი. სწრაფი სრიალი, ზუსტი მიწოდება. რა თქმა უნდა, საჭიროა ჭკვიანი თავი, რომ მოიფიქრო და განახორციელო ეშმაკური კომბინაცია. ამას გარდა, თქვენი ჰოკეისტები განთქმულნი არიან ფიზიკური ძალით.

● **რა არ მოგწონთ საბჭოთა ჰოკეისა?**

— იშვიათად ტყორცნა კარში. მაგალითად, „სპარტაკისა“ და „სლოვანის“ მატჩში, მოსკოველებმა, სულ ცოტა, ათჯერ ვერ გამოიყენეს კარში დარტყმის საშუალება.

პროფესიულ ჰოკეიში ასე თამაში არ შეიძლება. იქ კარგად სრიალი საკმარისი არაა. საჭიროა ტყორცნა. ჰოკეის არც ისე დიდხანს ვთამაშობთ, რომ ტყუილუბრალოდ ვფლანგოთ დრო. პროფესიონალს მატჩში ძალიან მცირე შესაძლებლობა აქვს შაიბის გატანისა და კაპიკია იმ ჰოკეისტის ფასი, რომელიც ყოველი შესაძლებლობის გამოყენებას არ შეეცდება.

კაცმა რომ თქვას, ეს საყვედური ყველა თქვენს ჰოკეისტს როდი ეკუთვნის. „სპარტაკ“ — „სლოვანის“ მატჩში დამატებითი დრო დაინიშნა. ჩემთვის რომ ეკითხათ, ვინ გაიტანს გადამწყვეტ შაიბასო, ვიტყოდი: „სლოვანის“ მხრივ — გოლონკა, ნედომანსკი, „სპარტაკის“ მხრივ კი — სტარშინოვი ან მაიოროვი-მეთქი.

● **მეოთხე შაიბა მართლაც მაიოროვმა გაიტანა. მაგრამ რატომ იყავით ასე დარწმუნებული?**

—ზემოთაღნიშნული ჰოკეისტები პირველი შესაძლებლობისთანავე ტყორცნიან კარში, გახსოვთ როგორი გოლი გაიტანა ნედომანსკიმ? მოუმზადებლად, ხელის მტევნის ძლივს შესამჩნევი მოძრაობით. შაიბის ასე გატანა შეუძლიათ მხოლოდ შესანიშნავ მოთამაშეებს — ფირსოვს, ალექსანდროვს, სტარშინოვს, მაიოროვს, გოლონკას, ნედომანსკის. მაგრამ გადაცემებით ხანდახან ისინიც სცოდავენ.

● **ჩვენ ბევრი წაგვიკითხავს და გვსმენია პროფესიონალებზე. საბჭოთა ჰოკეისტებს მათთან არ უთამაშიათ. მათი შეხვედრის შედეგების შესახებ მხოლოდ გულთმისნობა შეიძლება. თქვენ რას იტყოდით?**

— ყოფილი ეგრეთწოდებული დიდი ექვსეულის (ლიგაში 12 გუნდია) ნებისმიერი პროფესიული გუნდი რომ თქვენს ეროვნულ გუნდს შეხვედროდა, 10 შეხვედრიდან შვიდსა თუ რვას პროფესიონალები მოიგებდნენ.

● **თქვენი აზრით, ჩვენი ჰოკეისტებიდან ვინ შეძლებდა პროფესიულ გუნდში თამაშს?**

— ძალიან ბევრი, თქვენი ეროვნული გუნდის თითქმის ყველა მოთამაშე. საიმედოა კოვალენკო. კუზკინი ნამდვილი პროფესიონალია: სწრაფიცაა, ძლიერიც და რაც მთავარია, ჭკვიანურადაც თამაშობს. დავიდოვი გოლიათი როდია, მაგრამ კარგი ტექნიკა და გონიერი თავი ყოველ მენაჯერს დაავიწყებდა მის ნაკლს. ვფიქრობ, ყოველი პროფესიული კლუბი სიამოვნებით აიყვანდა რაგულინს— ამ მორბენალ ციხე-სიმაგრეს.

მე მომწონს ფუტკარივით შრომისმოყვარე ფირსოვი, ვიქტორ იაკუშევი. ამას გარდა, ფირსოვმაც იცის კარში მოუმზადებლად ტყორცნა. ეს კი, როგორც ზემოთაც ვამბობდი, პროფესიონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თვისებაა. ალმეტოვი კარგია იმით, რომ უნაკლოდ იყენებს ამხანაგების მიერ შექმნილ შესაძლებლობას. მაიოროვი კარგი პროფესიონალივით მუდამ მოძრაობაშია, მუდამ ეძებს თავის ადგილს და ამიტომ კარგად იყენებს სიტუაციებს. სტარშინოვი კარგად სრიალებს, მყარად დგას. ვფიქრობ, პროფესიონალებში თამაში პოლუპანოვსაც შეუძლია.

● **თქვენ დაასახელეთ სსრ კავშირის ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშე. მიუხედავად ამისა, გწამთ, რომ ისინი ყოველ პროფესიულ გუნდთან წააგებენ. ხომ არაა აქ წინააღმდეგობა?**

— ყოველი თქვენი საუკეთესო ჰოკეისტი მაღალი კლასის ჰოკეისთვის აუცილებელ მხოლოდ ერთ ან ორ თვისებას ფლობს. პროფესიონალები თქვენს მოთამაშეებს პირველ ყოვლისა, უნივერსალიზმით დაჯაბნიან. იდეალურ ჰოკეისტებად მიმაჩნია ბ. ხალა და გ. ხაუ. ორივე ძლიერია, ვაჟკაცური, კარგად სრიალებენ, იციან შაიბის გატანა. ერთი სიტყვით, შესანიშნავი თავდამსხმელები არიან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დაცვაშიც კარგად თამაშობენ. ასეთი მოთამაშეები მგონი, კანადაშიც არ არიან, მაგრამ უნივერსალური მოთამაშეები ჩვენ მაინც ბევრი გვყავს. მათ რომ მოუგონ, თქვენმა ჰოკეისტებმა, უპირველეს ყოვლისა, კარში კარგად ტყორცნა და ნაკლები „უმიზნოდ სრიალი“ უნდა იცოდნენ.

● **როგორ მიმდინარეობს პროფესიონალთა სეზონი?**

— სექტემბერში ყოველი კლუბი საწვრთნელ შეკრებას ატარებს. შეკრებაზე იწვევენ 50-55 ჰოკეისტს, როგორც იუნიორებიდან, ისე „ვარსკვლავებიდან“. ამ შემადგენლობიდან შეირჩევა 18 უძლიერესი, რომლებიც სტენლის თასის გათამაშებაში იასპარეზებენ.

ადრე ჩემპიონატი ოქტომბრის პირველ რიცხვებში იწყებოდა და მარტის ბოლოს მთავრდებოდა. ყოველი კლუბი თავდაპირველად ატარებს 70 მატჩს (14 წრე), შემდეგ უძლიერესთა ოთხეული ოლიმპიური სისტემით გაითამაშებს ხოლმე სტენლის თასის ფინალს.

● **რას აკეთებენ ჰოკეისტები სეზონის დამთავრების შემდეგ?**

— ვისაც რა უნდა. საქმე ისაა, რომ პროფესიონალებს მხოლოდ ჰოკეის სეზონის მანძილზე უხდიან გასამრჯელოს, ამიტომ გაზაფხულზე ბევრი მუშაობას იწყებს ან სწავლობს. მე, მაგალითად, უნივერსიტეტი დავამთავრე. საავიაციო კომპანია „ერ კანადაში“ მუშაობა დავიწყე ათი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ პროფესიონალებში ვთამაშობდი.

● **როგორ ამზადებენ თქვენში ჰოკეისტებს?**

— უკვე ვთქვი, რომ ჰოკეის ჩვენში თამაშობს ან თამაშობდა თითქმის ყველა მამაკაცი. უმაღლესი ლიგის ყოველ კლუბს ჰყავს 15-20 იუნიორთა გუნდი, რომელშიც 16-18 წლის პერსპექტიული ჭაბუკები იყრიან თავს. მე, მაგალითად, 15 წლისა ვიყავი, „ნიუ-იორკ რეინჯერსში“ რომ მიმიწვიეს. ხელშეკრულებას იუნიორთა გუნდის გამოსაშვები გამოცდების შემდეგ დებენ.

● **რა ვადით დებენ ხელშეკრულებას?**

— სამუდამოდ. უფრო სწორად, მანამ, სანამ კლუბს სჭირდები. ვერც ერთი მოთამაშე ვერ დატოვებს გუნდს, თუ ეს ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს არ სურთ. სამაგიეროდ, კლუბს ყოველი ჰოკეისტის გაყიდვა შეუძლია, ამასთან დაუკითხავად.

● **არის თუ არა მოყვარულთა ლიგის თანხმობა საჭირო, რომ პროფესიონალებში გადახვიდე?**

— სამწუხაროდ, არა. ამიტომ ბევრი ახალგაზრდა ჰოკეისტი ვერ ასწრებს მომაგრებას და პროფესიონალებში გადადის.

● **რატომ თამაშობს ბოლო ჩემპიონატებში თქვენი ეროვნული გუნდი სუსტად?**

— ჩვენ კი არ ვთამაშობთ ცუდად, თქვენ დაიწყეთ კარგად თამაში. ამასთან, ჩვენი ნაკრები უძლიერესი როდია კანადაში. როგორც უკვე ვთქვი, იგი პროფესიული კლუბების მიერაა გაძარცული. მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ კანადის ჰოკეი ყოველწლიურად ძლიერდება. ტამპერეში, მაგალითად, ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა ჰოკეისტები მოგვიგებდნენ, მაგრამ ამ სეზონში რა იქნება, ვერ გეტყვით.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები — 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონი; ზემო რიგში (მარცხნიდან) — ივანოვი, კუზკინი, უფროსი მწვრთნელი ჩერნიშოვი, ალექსანდროვი, ზაიცევი, ვიკულოვი, მწვრთნელი ტარასოვი; ქვემოთ — იაკუშევი, პოლუპანოვი, ალმეტოვი, ნაკრების კაპიტანი სტარშინოვი, ნიკიტინი, ფირსოვი.

საფრანგეთის მძლეოსანთა ოლიმპიურმა იმედმა როჯერ ბამბიუკმა წლეულს რამდენიმე შეჯიბრებაში იასპარეზა და საფრანგეთის სპორტული ღირსება ყველგან წარმატებით დაიცვა. როჯერმა არც ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებთან მატჩში შეირცხვინა თავი. ბამბიუკი სამართლიანად მიაჩნიათ თანამედროვე ევროპის საუკეთესო სპრინტერად და მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად.

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ბამბიუკი ერთერთი ასპარეზობის შემდეგ.



▲ **შტუტგარტი.** დასავლეთგერმანელმა მძლეოსანმა ქალმა ვესტერმანმა ბადრო 59 მეტრსა და 30 სანტიმეტრზე ტყორცნა და თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში მეორეა თ. პრესის მსოფლიო რეკორდის შემდეგ.

▲ **როსტოკი.** გდრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატში უ. პოზერმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობისას ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა — 1.58,9. ქალთა ორი რეკორდის ავტორი გახდა ჰ. პეხშაინი. 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში მან 2.16,3 აჩვენა, ხოლო 400 მეტრზე — 4.41,9.

▲ **ნიუ-იორკი.** 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიო რეკორდის (2.05,7) დამყარების დროს მ. შპიცმა 100 მეტრზე შესანიშნავი დრო აჩვენა — 1.00,4.

▲ **პანჩევო.** საბერძნეთის, რუმინეთის, თურქეთის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირში რუმინელმა ვასილესკუმ მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლით 600-დან მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა და თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. რუმინეთის რეკორდია მისი გუნდის მაჩვენებელიც — 2373 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

1

უე 04230